

‘რამდენიმე წუთით ავცდი, რომ მიწას არ ჩავეტანე’– რუსთაველები ჰესის მშენებლობაზე »

sknews.ge/index.php

‘რამდენიმე წუთით ავცდი, რომ მიწას არ ჩავეტანე’– რუსთაველები ჰესის მშენებლობაზე

მთავარი → სიახლე, საზოგადოება 23.07.2019

ასპინძაში, სოფელ რუსთავის მახლობლად, იქ, სადაც მიწა ჩავარდა, „მტკვარი ჰესის“ მშენებარე გვირაბი გადის. ადგილობრივები ამ ტერიტორიას უკვე საფრთხედ აღიქვამენ. „მტკვარი ჰესის“ დირექტორი კი ირწმუნება, რომ უსაფრთხოების ყველა ზომა დაცულია და მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდება.



ხუთი დღის წინ, სოფელ რუსთავთან, ‘მტკვარი ჰესის’ მშენებარე გვირაბის ტერიტორიაზე მიწის ჩანგრევას ერთ–ერთი ადგილობრივი შეესწრო. რუსთავის მკვიდრს „სამხრეთის კარიბჭესთან“ ვინაობის გამხელა არ სურს, თუმცა გვიყვება, რომ სოფლიდან დაახლოებით 50 მეტრში მიწა მაშინ ჩავარდა, როცა პირუტყვი საძოვრიდან სახლში უნდა წაეყვანა.

„ზუსტად მაგ ტერიტორიაზე გავიარე, რომ მოვბრუნდი საქონელთან ერთად, ალბათ ხუთ წუთში, მიწა უკვე ჩანგრეული იყო. ქარი იყო და ჩანგრევის ხმა არ გამიგია. ახლოს მივედი და ძალიან ღრმა იყო, შიგნიდან კიდევ ნგრევის ხმა ისმოდა. შემეშინდა და წამოვედი“, – გვიყვება ადგილობრივი.

მისივე თქმით, მაშინვე მომხდარის შესახებ ასპინძის მერიას აცნობა. მერიამ კი

„მტკვარი ჰესის“ ადმინისტრაციას შეატყობინა: „სულ რამდენიმე წუთით ავცდი მაგ ტერიტორიას. შეიძლებოდა ჩემი საქონლიანად ჩავეტანე. არ ვიცი მანდ გვირაბი გადის თუ რა, მაგრამ ძალიან საშიში რომ არის, ეგ ზუსტად ვიცი“.

მის აზრს იზიარებენ თანასოფლელებიც. რუსთაველები ამბობენ, რომ ტერიტორიაზე გზა გადის, ბალები და საძოვრები აქვთ, სადაც ყოველდღე პირუტყვი დაყავთ, ამიტომ შიშობენ, რომ მსგავსი შემთხვევა კიდევ განმეორდება და ვინმეს ჩაიყოლებს.

„მტკვარი ჰესის“ მშენებლობის გამო, რუსთაველებისთვის პრობლემა მარტო გვირაბის გაყვანა არ არის. ისინი ამბობენ, რომ ჰესის მშენებლობამ სოფელი თითქმის გააღარიბა.

„ერთი, რომ ისევ მაგ გვირაბის მშენებლობისას ჩვენი წყლები დაიკარგა და ფაქტობრივად ჩვენც და ჩვენი პირუტყვიც უწყლოდ დავრჩით. არადა, სოფელი მესაქონლეობას მისდევს, ამაზე ვართ დამოკიდებულები. მაღალმთიანის სტატუსიც იმიტომ არ მოგვცეს, რომ სოფელზე ჰესს უნდა გაეწვლოს“, – გვეუბნება ადგილობრივი ლიანა სანდროსოვი.

„მტკვარი ჰესის“ დირექტორი ალექსანდრე ოქროშიძე „სამხრეთის კარიბჭესთან“ განმარტავს, რომ რუსთავთან, გვირაბის ტერიტორიაზე, გრუნტი 10 მეტრის სიღრმეზე ჩავარდა: „რეალურად გვირაბი მანდ გადის. სადაც გრუნტი ჩავარდა, იქ 115 მეტრის სიღრმეზე უკვე გვირაბის კონსტრუქციაა. გაუთვალისწინებელი სიტუაციების გამო, შეიქმნა ეს პრობლემა. დაუტკეპნავი გრუნტი ჩავყარეთ, გავაკეთეთ არხი, რომ წყალი არ ჩავიდეს და დამატებითი პრობლემები არ გაჩნდეს“.

ოქროშიძის თქმით, ადგილზე გეოდეზიური კვლევა ჩატარდა და დასკვნაც მზად არის. დირექტორი ირწმუნება, რომ მომავალში მსგავსი პრობლემის საშიშროება აღარ არსებობს, რადგან უსაფრთხოების ზომები დაცულია.

„ეს პრობლემა, სავარაუდოდ, გრუნტის წყლებმა, გრუნტში არსებულმა სიცარიელემ და შიგნით, გვირაბიდან გრუნტის გამოტანამ გამოიწვია. თუმცა ჩვენ ყველა ზომა გვაქვს მიღებული იმისათვის, რომ მომავალში მსგავსი აღარ განმეორდეს. გაათმაგებული ყურადღებით ვმუშაობთ. ამ საკითხში ჩავრთეთ ინჟინრები და შესაბამისი სპეციალისტები. მსგავსი პრობლემა აღარ განმეორდება“, – ამბობს „მტკვარი ჰესის“ დირექტორი ალექსანდრე ოქროშიძე.

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის – „მწვანე ალტერნატივის“ ხელმძღვანელი მანანა ქოჩლაძე არ გამორიცხავს, რომ მინის ჩანგრევა გამოწვეული იყოს 'მტკვარი ჰესის' პროექტში ხარვეზებით, რომელიც მშენებლობის დაწყების დღიდან არსებობდა.

„ეს ძველი და გაჭიანურებული პროექტია. თავიდანვე, რამდენადაც მახსოვს, ბევრი ტექნიკური პრობლემა ჰქონდათ, რაც, თავისთავად, იმაზე მიუთითებდა, რომ წინასწარი კვლევები არ იყო სათანადოდ ჩატარებული. გამორიცხული არ არის, რომ ესეც ამის შედეგია“, – ამბობს მანანა ქოჩლაძე.

მისივე თქმით, ეს პროცესები ადგილობრივებისთვის საფრთხის შემცველია, რადგან არ

არის გამორიცხული, სოფელს პრობლემები მაშინაც შეექმნას, როცა გვირაბში წყალი გავა: „ამის მაგალითი უკვე გვაქვს შუახევში, სადაც სოფლები საფრთხის ქვეშ დადგა. იქაც, გვირაბში წყალი გავიდა, ფერდობზე აინია გრუნტის წყლების მოცულობამ და ადგილობრივებს წყალი სახლში უვარდებოდათ“.

‘მტკვარი ჰესის’ დირექტორის თქმით, გვირაბი ჯამში ცხრა კილომეტრსა და 600 მეტრზე უნდა გაკეთდეს. ამ დროისათვის დარჩენილია ორი კილომეტრის და 100 მეტრის გაყვანა.

[ლუბა გიორგაძე, ასპინძა]